სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება № 1/775 3/1

ქ. თბილისი, „3“ იანვარი 2011 წელი

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის საფუძველზე.

ერთის მხრივ, **სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო“**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნ. ვაჩეიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“),

და მეორეს მხრივ **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი** წარმოდგენილი მისი დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის ბესიკ ბაჩიაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს“ ბიუჯეტის სახსრებით, გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შენობის დაცვის მომსახურების შესყიდვა (**CPV კოდი 79713000**), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტია გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შენობის დაცვა პერიმეტრული დაცვის სიგნალიზაციით (12 თვის განმავლობაში).

1.3 წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული „ობიექტის“ დაცვას, განახორციელებს საქართველოს შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის რეგიონული დ.პ სამმართველო, ობიექტების შესაბამისი გამოკვლევის აქტით გათვალისწინებული დაცვის რეჟიმით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 მომსახურების ღირებულება 1 თვის განმავლობაში შეადგენს 135 ლარს

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1620 (ერთი ათას ექვსას ოცი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დღგ და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადები და ხარისხი

3.1 შესყიდვის ობიექტის ჩაბარება მოხდება ეტაპობრივად.

3.2 მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია, შესყიდვის ობიექტის გადაცემისას შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია -

შოთა მამულაძე - გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მმართველი.

5.3 ხელშეკრულების შესრულებაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს მიმწოდებლის მხრიდან წარმოადგენენ შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის რეგიონული დ.პ სამმართველოს თანამშრომლები.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება ეტაპობრივად, შესყიდვის ობიექტის მიწოდების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

6.3 ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უნაღდო საბანკო გადარიცხვის ფორმით ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

7,1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 „ობიექტის“ დაცვაზე მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პასუხისმგებელი პირი და გადასცეს მას სიგნალიზაციით სარგებლობის, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;

7.2.2 განგაშის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ მისცეს დასაცავი „ობიექტის“ გახსნისა და დათვალიერების საშუალება;

7.2.3 უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი;

7.2.4 სიგნალიზაციის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „მიმწოდებელს“, დაელოდოს „მიმწოდებლის“ წარმომადგენლის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას;

7.2.5 ელექტრო-ენერგიის ავარიული გამორთვის შემთხვევაში იქონიოს გამართულ მდგომარეობაში დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საშუალებები.

7.2.6 არ დაუშვას „მიმწოდებლის“ მიერ დამონტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის გარეშე.

7.2.7 რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს“.

7.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.2.1 ცენტრალიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიღებიდან მყისიერად, არაუგვიანეს 5 (ხუთი) წუთისა მოახდინოს „ობიექტზე“ გამოცხადება და ადგილზე მისვლის შემდეგ, უზრუნველყოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთა_აცილება;

7.2.2 „ობიექტზე“ აღმოჩენილი ზარალის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ და უზრუნველყოს შს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;

7.2.3 „შემსყიდველს“ ფაქტიური ზარალი აუნაზღაუროს სასამართლოს მიერ ძალაში შესული, გადაწყვეტილების საფუძველზე;

7.2.4 ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით მონაწილეობა მიიღოს შედარების აქტის შედგენაში, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს „შემსყიდველის“ საბუღალტრო დოკუმენტაციას და ადასტურებდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი დანაყოფის ხელმძღვანელობის ხელისმოწერა.

7.2.5 სიგნალ-განგაშის მიღებისას ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად _ გამოიძახოს ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი;

7.2.6 არ მიიღოს ობიექტი დაცვაში, თუ შეიქმნა პირობები რომლის გამოც, „მიმწოდებლისგან“ დამოუკიდებელი მიზეზებით არ ხერხდება დაცვაში აყვანა, რაზედაც „შემსყიდველს“ ეცნობება წინასწარ;

7.2.7 იკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია „მიმწოდებლის“ ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა „შემსყიდველის“ დაუდევრობამ.

7.3 მხარეები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის გადაიხდიან პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.4 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ ცხადი გახდა, რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებშიც არ შეუძლია შემსყიდველს მიაწოდოს მთლიანი შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი;

(ბ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს:

- შოთა მამულაძე - გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მმართველი.

9.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

9.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

11.2 ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ორი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ორი - შემსყიდველთან.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის №5 სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა № 200122900 ს/კოდი: 204562311	შ.ს.ს. საჯარო სამართლის იურიდიული პირი „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“ მის: დ. აღმაშენებლის ხეივ. მე-11 კმ. ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ კოდი: LBRTGE22 ა/ა № 34081882 ს/კოდი: 211350928
გენერალური დირექტორი	**დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსი**
ნ. ვაჩეიშვილი	ბ. ბაჩიაშვილი